საქართველოს მოსამართლეთა XXXII კონფერენცია

24 მარტი, 2024 წელი
იუსტიციის უმაღლესი სკოლა
(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

10:00 - 11:00 სთ:
მოსამართლეთა რეგისტრაცია

11:00 - 17:00 სთ:

1. **სასამართლოს ირგვლივ განვითარებული მოვლენების განხილვა.**

2. **საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში ცვლილების შეტანა** *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით).*

3. **ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით** *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).*

4. **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის/წევრების არჩევა** *(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით).*

5. **საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრის/წევრების არჩევა** *(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. კანდიდატად არ შეიძლება დასახელდეს პირი, რომელსაც უკავია ან ბოლო 1 წლის განმავლობაში ეკავა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ასევე - პირი, თუ მას ბოლო 5 წლის განმავლობაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით).*

6. **საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი/წევრების არჩევა** *(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით).*

7. **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა** *(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით).*